საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №05/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 09 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 12 სექტემბრის №5/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- რაიონული სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე იმყოფებოდა ბრალდებულ -- -- და სხვათა მიმართ სს საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა - ბრალდების მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე, თუმცა, მიუხედავად დაცვის მხარის მოთხოვნისა, საოქმოდ არ გააკეთა განმარტება, თუ რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით იხელმძღვანელა. მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე დაცვის მხარის 22 პუნქტიანი შუამდგომლობა, სასამართლომ შეაფასა რამდენიმე წუთში, რაც მომჩივნის მოსაზრებით არ იყო საკმარისი შუამდგომლობის საფუძვლიანობის ყოველმხრივ და სრულად შემოწმებისთვის.

1.2. საქმეზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ აკმაყოფილებდა მტკიცებულებათა დასაშვებობის სტანდარტს. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის მხარის მოსაზრებები, მტკიცებულებათა კანონდარღვევით მოპოვების თაობაზე და მიიღო უკანონო, დაუსაბუთებელი განჩინება. მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად დატოვა ძალაში ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა.

1.3. საქმეში წარმოდგენილია რიგი სამართლებრივი დოკუმენტები: დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, გამოკითხვის ოქმები არაქართულ ენაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ იგი დასაშვებ მტკიცებულებებად სცნო.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შსს -- რაიონული სამმართველოს წარმოებაში იმყოფებოდა სს საქმე №--. აღნიშნულ სს საქმეზე, 2017 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, ბრალდება წარედგინათ -- --, -- -- და -- --.

-- რაიონულ სასამართლოს 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, ბრალდებულების: -- --, -- -- და -- -- მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

2017 წლის 28 დეკემბერს, -- რაიონული სასამართლოს (მოსამართლე -- --) მიერ, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე განხილულია ბრალდებულების: -- --, -- -- და -- -- მიმართ სს საქმე. წინასასამართლო სხდომაზე, სასამართლომ განიხილა საქართველოს სსსკ-ის 219-220-ე მუხლებით გათვალისწინებული საკითხები და შუამდგომლობები, რის შემდეგაც, მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულების მიერ ჩადენილი იყო დანაშაული, გათვალისწინებული, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. საქმეზე არსებითი განხილვა დაინიშნა 2018 წლის 05 იანვარს, 14:00 საათზე.

არსებული მდგომარეობით -- --, -- -- და -- -- მიმართ სს საქმეზე მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ

დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. საქართველოს სსსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზეპირად ცხადდება. ზეპირი გადაწყვეტილება ფიქსირდება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი დაერთვის ოქმს, რის შესახებაც ოქმში აღნიშვნა კეთდება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

მომჩივნის განმარტებით, წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა - ბრალდების მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე, თუმცა, მიუხედავად დაცვის მხარის მოთხოვნისა, საოქმოდ არ გააკეთა განმარტება, თუ რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით იხელმძღვანელა. მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე დაცვის მხარის 22 პუნქტიანი შუამდგომლობა, სასამართლომ შეაფასა რამდენიმე წუთში, რაც მომჩივნის მოსაზრებით არ იყო საკმარისი შუამდგომლობის საფუძვლიანობის ყოველმხრივ და სრულად შემოწმებისთვის.

პრეტენზიის საფუძვლიანობის გამოკვლევისთვის უნდა მიეთითოს შემდეგ გარემოებებზე:

2017 წლის 28 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე. მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდგომ, სასამართლო სათათბიროდ გავიდა 16:21 საათზე და დაბრუნდა სხდომის დარბაზში 17:13 საათზე. სასამართლომ გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის თანახმადაც, დაცვის მხარის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა, არ დაკმაყოფილდა. ასევე, დაცვის მხარეს, სასამართლოს მიერ განემარტა, რომ მხარეებს შესაძლებლობა ექნებოდათ კანონით დადგენილ ვადაში გასცნობოდნენ აღნიშნულზე დასაბუთებულ სასამართლო გადაწყვეტილებას. ასევე აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია აღნიშნულზე სასამართლოს წერილობითი დასაბუთებული განჩინებაც (ტომი 4, ს.ფ. 1-16). დასაბუთებული განჩინება პირადად ჩაბარდა ბრალდებულ -- -- ინტერესების დამცველ ერთერთ ადვოკატს, -- --.

წარმოდგენილ მოცემულობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესს დასაბუთებული სახით, თუმცა წინასასამართლო სხდომის შემთხვევაში, არ განსაზღვრავს დასაბუთების ფორმას: ზეპირი (საოქმო) ან წერილობითი დასაბუთების სახით.

კონკრეტულ განსახილველ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო შემდგომში წერილობითი სახით, საქმეში წარმოდგენილია დასაბუთებული განჩინება. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი, ამ მიმართებით არ დგინდება, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სასამართლოს უფლებამოსილი იყო მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) დაესაბუთებინა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

რაც შეეხება შუამდგომლობაზე სასამართლოს თათბირის ვადის ხანგრძლივობას, 2017 წლის 28 დეკემბრის სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, სასამართლო სათათბიროდ გავიდა 16:21 საათზე და დაბრუნდა სხდომის დარბაზში 17:13 საათზე, ანუ თითქმის ერთი საათის შემდეგ. აღნიშნული კი, გარეშე დამკვირვებლისთვის არ აღიქმება აშკარა შეუსაბამო ხანგრძლივობად. შესაბამისად, მხოლოდ წარმოდგენილი ფაქტის ფარგლებში დაუსაბუთებელია იმის ვარაუდი, რომ სასამართლომ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და შუამდგომლობის საფუძვლიანობა არ გამოიკვლია სრულად, ყოველმხრივ.

3.2. საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;

მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი წესი განმარტებულია საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლით და დანაწესის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან მიმართებით, სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანს წარმოადგენს ის საკითხი, დგინდება თუ არა საქმეზე მტკიცებულების არსებითი დარღვევით მოპოვების შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი პროცესი ამ კუთხით მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების აუცილებლობას მოითხოვს, ვინაიდან საპროცესო წესის დარღვევა, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, რამდენად არსებითია, შეფასებითი მნიშვნელობისაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მიღებული სამართლებრივი დასკვნების კანონიერებისა და დასაბუთებულობის ხარისხზე მსჯელობა, დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. კერძოდ, სასამართლო დასკვნის კანონიერება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს, მოცემულთან აღსანიშნავია, რომ სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა, ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის, გირაოთ შეცვლის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულებისათვის ბრალად შერაცხული ქმედების ხასიათის, სიმძიმის, ბრალდებულთა პიროვნებებისა და მათი ქცევის გათვალისწინებით, სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, გარდა პატიმრობისა, ვერ უზრუნველყოფდა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლით გათვალისწინებულ მიზნებს. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასების შედეგად, რის გამოც, სასამართლო დასკვნის კანონიერება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

3.3. საქართველოს სსსკ-ის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი.

განსახილველ შემთხვევაში მომჩივანი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია რიგი სამართლებრივი დოკუმენტები: დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, გამოკითხვის ოქმები არაქართულ ენაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ იგი დასაშვებ მტკიცებულებებად სცნო.

მითითებულ პრეტენზიასთან მიმართებით, საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება და მოწმეთა გამოკითხვის ოქმები საქმეში წარმოდგენილია სახელმწიფო, ქართულ ენაზე. შესაბამისად მომჩივნის მიერ მითითებული გარემოებები, რაც შესაძლოა შემდგომში მოსამართლის მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევად შეფასებულიყო, არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №5/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი